ცნობის ფურცელი

№ 2227 ორშაბათი 4 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2227

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჭევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—102)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. ზედგინიძისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
დ. ა. ზედგინიძე.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.
ექ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
სამკურნალოს აქვს თბი საწოლი კრავატი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ზევითმდე.
ადრესი: კუკია, გოლოვინსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქალების
პროგიმნაზია
ელენე ბახტაძისა
დ. ზონში
ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება ყველა კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.
თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წლიწადში. (ნ. 3—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები
I
წიგნის ისტორია
შედგენილი დ. კარიჭაშვილისაგან
14 სურათით. 62 გვ. ფასი 20 კაპ.
II
დანიელ დეფო
რობინზონ კრუზე
მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კაპ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც ამ ადრესით: Тифлисъ, Общество распространенія грамотности. (3—უ—1)

ცინკოგრაფია
ტიფლ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
განჯის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.
(4)

ახალი ორგანიზაცია საეკკლესიო სკოლების მართვა-გამგეობისა საქართველოს საეგზარხოსოში.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა უწმ. სინოდის ობერ პროკურორის მიერ წარდგენილი მოხსენება საქართველოს საეგზარხოსოში საეკკლესიო სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ და დაადგინა:

I სათანადო კანონთა შესაცვლელად და დასამატებლად დაწესდეს:

1. საეკკლესიო სკოლები საქართველოს საეგზარხოსოში ექვემდებარებიან საქართველოს ეგზარხოსს, რომელიც ამ სკოლებს განაგებს საოლქო სასწავლებელთა საბჭოს შემწეობით; ადგილობრივ-კი, თვითეულ ეპარქიაში ცალკე, სკოლების მართვა-გამგეობა ევალებათ ეპისკოპოსებს, იმათ ხელქვეით მყოფ საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოებს და ამ საბჭოების სამაზრო განყოფილებებს.

2. საოლქო სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარეობს ერთ-ერთი ქორ-ეპისკოპოსი, რომელსაც ეგზარხოსი ირჩევს, ხოლო უწმ. სინოდი ამტკიცებს. საბჭო შესდგება: მთავარ-მართებლის მიერ დანიშნულ წევრისა, ტფილისის გუბერნატორისა, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, საეგზარხოსოს სკოლების საოლქო ზედამხედველისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ დანიშნულ წევრისა და ცხრა მუდმივ წევრისაგან. ამ ცხრა წევრს, სასულიერო და საერო წოდების კაცებს, ირჩევს და ამტკიცებს საქართველოს ეგზარხოსი. სხვა გუბერნიებისა და ოლქის უფროსებს შეუძლიანთ საოლქო საბჭოს სხდომებზე მონაწილეობა მიიღონ: ამათ ეძლევათ ხმის უფლებაც.

3. საოლქო სასწავლებელთა საბჭოს მუდმივ წევრთა თანამდებობაზე შეიძლება ისინიც დაინიშნონ, ვისაც შესაფერი ჩინი არა აქვთ, აგრეთვე ისეთნი, რომელთაც ამავე დროს მართლ-მადიდებელ სარწმუნოების უწყებაში სხვა თანამდებობაც უჭირავთ.

4. წევრების დანიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო საბჭოს წევრნი მონაწილეობას ვერ მიიღებენ საბჭოს კრებებზე, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელსაც შეადგენს საქართველოს ეგზარხოსი კავკასიის მთავარმართებელთანა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან შეთანხმებით. ამ ინსტრუქციას უწმ. სინოდი ამტკიცებს. გუბერნიებისა და ოლქის უფროსებს შეუძლიანთ საბჭოს კრებებზე თავიანთ ნაცვლად გაჰგზავნონ ისინი, ვისაც კანონით უფლება აქვს გუბერნატორის სხვაგან ყოფნის დროს იმის თანამდებობა შეასრულოს.

(დასასრული ხვალ)

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 3 აგვისტოს, დილით კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი ტფილისიდან ბელი-კლიუჩში წავიდა.

✦ ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი, რომელიც დროებით დაეთხოვა სამსახურს, საზღვარ გარედ წავიდა.

✦ გუშინ აღნიშნული გვქონდა, რომ ტფილისის წყლის მილის 47 მეონკანემ სთხოვა ქალაქის გამგეობას ჯამაგირის მომატება. მეონკანეთა განცხადება გადაეცა გამგეობის იმ განყოფილებას, რომელსაც წყლის მილი აბარია. ქალაქის წყლის მილის გამგე განყოფილება მოხსენებას წარუდგენს მოურავს იმის შესახებ, რომ მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილ იქნას 2000 მან. მეონკანეთათვის ჯამაგირების მოსამატებლად.

✦ ფოთის ქალაქის მოურავის ბ-ნ ნიკოლაძის შუამდგომლობით მთავრობას ფოთის ნავთსადგურისთვის კიდევ გადაუდვია 900 ათასი მანეთი.

✦ 1 აგვისტოს საუფროსდელთა კრება მოხდა ტფილისის სახელოსნო გამგეობაში. ამ დღეს ქალთა ტანისამოსის მკერავების ამქარს, უნდა აერჩია უსტაბაში და სხვა დასხვა თანამდებობის კაცნი. კრებაზე ბევრმა მკერავმა ქალმა მოიყარა თავი, რომელთაც მოისურვეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. კრების დაწყებისას მამაკაცმა მკერავებმა განაცხადეს, უკანონოდ მიგვაჩნია არჩევნებში ქალების მონაწილეობის მიღება, ამიტომ კრებაზე დასწრების ნებას ნუ მისცემთო. მოურავმა რაფაელოვმა წევრთ განუმარტა, რომ სახელოსნო წესდებაში არსად არ არის ნათქვამი, რომ დედაკაცებს უფლება არა აქვთ მოხელეთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისაო. ამის შემდეგ შეუდგნენ კენჭის ყრას. ქალებმა მამასახლისის თანამდებობაზე ერთი ქალი დაასახელეს, რომლის კენჭის ყრაზე მოურავმა ნება არ დართო და განაცხადა, არ ვიცი გვაქვს თუ არა უფლება რომელსამე თანამდებობაზე ავირჩიოთ ქალი, ამიტომ განსამარტებლად მივმართავ ტფილისის გუბერნატორს და ვიდრე პასუხი მოგვივიდოდეს, მოვიცადოთო. ბოლოს ამქრის უსტაბაშად აარჩიეს მელენჩუკი, იმის თანაშემწეებად ტარასოვი და არუთინოვი, ხოლო დეპუტატებად—საკოვი და გეურქოვი.

✦ ექიმი ქალი მარიამ იოსელიანი, რომელმაც შარშან გაათავა დედათა სამკურნალო ინსტიტუტი, მოწვეულ იქმნა ორდინატორად ტფილისის საბებიო ინსტიტუტში. ქ-ნი იოსელიანი სწავლის გათავების შემდეგ ერთი წლიწადი ვარჯიშობდა პეტერბურგში.

✦ „კავ.“-ს გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაეცეს სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო ქონება მთავრობის დაწესებულებებს.

✦ პირველ აგვისტოს ბაქოს მხრიდან ტფილისში მოვიდა 12 ამერიკელი მოგზაური. ტურისტებმა დაათვალიერეს ტფი- და 2 აგვისტოს საღამოთი ბათუმისკენ ლი ვიდნენ.

✦ ტფილისის გუთნის შარვლის? გიმ- თუ მისაღები ეგზამენები მოხდება 22—ოსმატოს. ახლად შემსვლელთა თხოვნ- მოწ- ბა 15 აგვისტომდე. ელმწი-

✦ ნოვობაიაზეთის რაზმ? მკვლელს მკითხველებს მოეხსენებათ, ჰას იქით ოს- მოიყვანეს. ამ რაზმის ერთი ...იან...“ შეთში დაბანაკდება, ხოლო მეორე—გორ

✦ როგორც გვიგიეთ, გამომძიებელს შემთ გაუთავებია ფ. კაბუნიას საქმის გამოძიება, რომელმაც, როგორც ამბობენ, უცაბედად დასჭრა ხელში თავისი ნაქირა ბაბუნაშვილი. უკანასკნელი ს. თოფურიას საავადმყოფოშია და ჭრილობა თითქმის სრულიად განკურნა. ბოლოვაის მიერ შეპყრობილი კაბუნია მეორე დღესვე განუთავისუფლებიათ.

✦ შაბათ დილას, 2 აგვისტოს, ბანაობის დროს რიონში დაიხრჩო ერთის ებრაელის შვილი. თუმცა ბევრი უყურებდა, როგორ იხრჩობოდა საბრალო ბავშვი, მაგრამ წყალში ჩასვლა და შემწეობის აღმოჩენა ვერავინ გაბედა.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთათურ მასწავლებელ ქალთ თ. გ. მაჰავარიანის, ე. ვარჯიშვილისა და ნ. მუსხელიშვილის ასულთ დაუღრსებიათ ქუთაისში ქალების ოთხკლასიანი კერძო პროგიმნაზია პროფესიონალური განყოფილებით. ეს ქალების მესამე პროგიმნაზია იქმნება ქუთაისში. თუ რამდენად შეიგნეს ქუთაისის გუბერნიაში ქალების სწავლების საჭიროება, იქიდანა მტკიცდება, რომ ეს სამი პროგიმნაზია სულ მოკლე ხანში, რაღაც ხუთიექვსი წლის განმავლობაშია დაარსებული. პროგიმნაზიები კი არსდება, მაგრამ სად არის გიმნაზიები, რომ პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულ ქალთ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება? მთელს ქუთაისის გუბერნიაში ქალების გიმნაზია მხოლოდ ერთია. პროგიმნაზია და დაბალი სასწავლებელი კი თითქმის ყოველს დაბაშია. ნუთუ ერთს გიმნაზიას შეუძლიან დააკმაყოფილოს სწავლის გაგრძელების მსურველნი! ამგვარსავე მდგომარეობაშია ვაჟების სწავლის საქმეც. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თუნდ წელს სათავადაზნაურო სკოლაში კურს-დამთავრებულ მოწაფეთა მდგომარეობა: ოც-და-ათამდე მოწაფემ დაასრულა კურსი და ეხლა უადგილობის გამო ღვთის ანაბარად არიან. არ იციან, რა გზას ეწიონ. ყველა სასწავლებლების კარები უადგილობისა თუ სხვა რამ მიზეზის გამო იმათთვის დახშულია. აქამდის კიდევ მეხუთე კლასის გახსნის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ისე მიყუჩდა საქმე, რომ, მგონი ეს იმედი ყინულზე დაწერილი შეიქმნეს. „მიზეზ-მიზეზ—დოს მარილი აკლიაო“, რომ იტყვიან, სწორედ ის არის, თორემ მეხუთე კლასის გახსნას რა დამაბრკოლებელი მიზეზი უნდა ელობებოდეს წინ, როდესაც, სკოლა არავითარ მეტს ხარჯს არა თხოულობს. საჭიროა, თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი წავიდეს ... მზრუნველთან და გაიგოს, რაა იქ... კონ... ლებელი მიზეზი და შემდ...ის პასუხად ბელი იქმნება, რამე წამო... ტემბერი კარზე გვა... შეიძლება.

ალმო... მასწავლებლებს რესპუბლიკამ ... ა ბეი სის დღევანდელ კარაკავილ...რველმა მინის-

✦ ჩვენს ამხ... სწორედ ბრ... დავანებ...ა სთქვან, მასწავლებლებს ყოველ ქუთაის...ად-ერთი ლოზუნგი ჰქონდათ—დი“...იკის საქმეს ემსახურებოდნენ. უკანასკნელ 14 თვის განმავლობაში პარლამენტმა ახალი წესები დააწესა და სახალხო მასწავლებელთა მოქმედების ასპარეზი გააფართოვა. ეხლა სწრაფად ვუახლოვდებით ბრძოლის დასასრულს. ეს ბრძოლა იმ დღეს დაიწყო, როცა ახალმა კანონებმა მასწავლებელს სახელმწიფო მოსამსახურის უფლება მიანიჭეს და როცა სახელმწიფომ, უფასო სწავლა დააწესა და გადასწყვიტა, რომ ეს სწავლა საერო ყოფილიყო და არა კლერიკალური. პირველში დროებითი ღონისძიება მიიღეს, ეხლა კი ეს საქმე უნდა დასრულდეს, დაგვირგვინდეს. საქმის დასამთავრებლად, პარლამენტის უმეტესობამ ახალგაზრდათა აღზრდა ხელიდან გამოჰგლიჯა კონგრეგაციებს (ტაშის ცემა). ცოტა კიდევ ...ადოთ, ერთი ცდა კიდე ვეცადნეთ,— ...ნოს...ების სწავლება გაჰქრება; ბერების ...სთან სახალხო მასწავლებლები იქნებიან ...წევრ... სარწმუნოებრივ სწავლის მომხრე... ...ხალ საერო სკოლას დასცინიან და ...ენ: ეს სკოლა თავის მოწაფეებს ზნე... ...ა აზრებს ვერ ჩაუნერგავსო. გასინჯონ ...ლ. დაწყებითი სკოლების პროგრამა და ...ხუნდებიან, რომ საერო სკოლა უყუ...ოდ არა სტოვებს ნამდვილ ზნეობას

ხმების შემდეგ, რასაკვირველია, საზოგადოებასაც გული გაუტყდება და ამხანაგობის საქმეც ცუდად წავა.

თეატრი

ქუთაისი. კარგა ხანია, ჩვენს წარმოდგენებს არ დავსწრებივარ და ძლიერ ვწუხდი: მეგონა, ბევრი რამ დამაკლდა, მაგრამ ჩემი წუხილი ტყუილი გამოდგა. ეს დამიმტკიცა ხუთშაბათს, 31 ივლისს, სცენის მოყვარეთა მიერ გამართულმა წარმოდგენამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თურმე—როგორც პროგრამაში იყო აღნიშნული—„მსახიობნიც“. წარმოდგენამ საზოგადოთ, მეტი რომ არა ვსთქვათ, სუსტად ჩაიარა. ყურადღება მიიქცია მხოლოდ ბ-ნმა დათოშვილმა „ადვოკატებ“-ში, აგრეთვე ქ-ნმა ივანიშვილმა (თამარის როლში). პირველი ხშირად მინახავს ჩვენს სცენაზე და თითქმის უოველთვის კარგათ შეუსრულებია კომიკური როლები; უკანასკნელი კი დღეს პირველად დავინახე. თუმცა ერთის ნახვით ადამიანის დაფასება შეუძლებელია, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ იმისმა თამაშმა საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება იქონია. ხმა, საკმაოდ თავისუფალი, მიხვრა-მოხვრა და მოხდენილი თავ-ტანადობა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქ-ნს ივანიშვილს (თამარის როლის მოთამაშეს) სასცენო ნიჭი აქვს. „დავა“-ში საკმაოდ კარგად ითამაშეს ბ-ნ დათოშვილმა და ვიქტოროვმა. დასასრულ, საკონცერტო განყოფილებაში 11 კაცისაგან შემდგარმა მომღერალთა გუნდმა ბ-ნ თოდუხვერიშვილის დირიჟორობით საკმაოდ შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა, თუმცა ქართული ხმები და კილოები ზოგიერთ სიმღერაში ნაკლებად ურევია. ზოგიერთი სიმღერა ძლიერ მოეწონა საზოგადოებას და რამდენჯერმე გაამეორებინა. თუმცა წარმოდგენის დაწყებისას საზოგადოება ნაკლებად იყო, მაგრამ გათავებისას სულ გაიჭედა თეატრი. ეს იმით აიხსნება, რომ ბევრი უბილეთოდ შედის.

დონ-გილიანი

ს. საგარეჯო. 29 ივლისს სცენის მოყვარეებმა ად. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს „ხანუმა“ და „ორი მშიერი“. წარმოდგენა მოეწონათ საგარეჯოელებს.

დაბა-სოფლები

ბახმარო (გურია). მიიწურა ივლისი და მოახლოვდა დრო ბახმაროზე ცხოვრების შეწყვეტისა. წინანდებურის „ამოსვლის“ მაგიერ თვითეულს წასვლა—გამგზავრება აკერია ენაზე. „როდის აპირობ ბარში?“ გკითხავს ერთი მეორეს. „რა ვქნა, ძმაო, კი მინდოდა დავრჩენილიყავი, რომ გარემოება ხელს მაძლევდეს... მარა ახლა ს[illegible]ებით უსათუოდ უნდა წავიდე“. რამდენიმე [illegible] გადე[illegible] იგივე გულ-ნაბადი და გა- ქ-ნმა მაჭავარიანისაგან, რათა ცოტა ხნის მოსვე- პეტერბურგის ვა[illegible] შეუდგეს ძველს ცხოვრებას-ში. ახლა აპირებს მოზვ უდელს. ამ ნაირად შეკვლას ფოკალურს განუთ-დდე კლებულობს. საზღვარ-გარედ წასვლას სა. და ეს ადამიანის სათვის. ამ ახალ-გაზრდა ქალის ზათხუთამდე და ხმაც კარგი აქვს. ვუსურვებ[illegible]. მაგრამ ბ-ნმა სარაჯიშვილმა ამ დუეტის გიდევე ცო-რომანსი: „Вернись“..., დენცის; „წუხელა утро“..., გრანკელის და „Въ душѣ моей“... მოისმინეს. ბისზედ იმღერა რაღაც ქართულ-რუსული მიქსტა, რომლის მელოდიაც ქალაქური იყო, ხოლო კადენციის და მოდულაციის გადახვევით, ევროპულ-არიანული, ევროპული ხმის აწევ-დაწევა. ქართულ მუსიკის სტილის ნატამალიც არ ეტყობოდა. ქართულ მუსიკაში რა ესაქმება ხმის ამ ნაირ აწევ-დაწევას. შემდეგში გავიგეთ, რომ ეს ყოფილა არია „ქეთო-კაზბეკიდან“ ბ-ნ სულხანიშვილის მიერ დაწერილ ქართული ოპერიდან. ბ-ნი სარაჯიშვილს მშვენიერი ტენორი აქვს და ამასთან ნიჭიც. ისიც აპირებს წასვლას [illegible] სავით განათლებისათვის. საზოგადოება [illegible] თ იმან იმღერა „ურმული“, მაგრამ [illegible], განა[illegible], რომ ურმული [illegible] არა [illegible] უნდა, არ ახდენს... თუდეცმი არავით [illegible] ცხონებულ. აბაშიძემ საქართველოს [illegible] დაუკრა [illegible] „ვი: სამეგ[illegible] ძალი ხალხი ნახუმა[illegible] და ერთი [illegible] ქმ[illegible] [illegible] პარი გამოუწვი[illegible] სათვალავით [illegible] ურმა ქანდებს, და სამ[illegible] იდგა. უფრო მონაწილეობის ქა[illegible] ებმა ძლიერ [illegible] მონ[illegible]. ამ საღამოს წინა[illegible] (სოფლელთა [illegible]ის) [illegible] დიდ-ძალი დაუწყ[illegible] და ნასიამოვნები [illegible] რასაც გულითადათ საღამოს გამგეს კნიაგინა[illegible] გაჯვარიშვილისა.

გდბგერი

მანძილზე ვერას გაარჩევთ. ამბობენ, წვიმების გამო გზებზე გაუვალი ტალახია.

ბახმარელების კრებებზე ბევრს ლაპარაკობენ, ვითომ და ბახმაროს საქმეებზე, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ყურადღება მიაქციოს ავადმყოფების მდგომარეობას. რადგან ბახმაროზე ამოდიან მეტ-ნაწილად ავადმყოფნი, ბახმაროსათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ექიმი. წელს ბახმაროს არც ერთი ექიმი არ სწვევია და მათ მაგიერობას ასრულებენ ფე[illegible]შლები. ამათ აქვთ თავიანთი ვითომ და აფთი[illegible]ქი. კარგია, თუ შემდეგისთვის მაინც იფიქრებენ ბახმარელები ავადმყოფების შესახებ.

ი. დონეშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აგვისტო

ტორჟოკი. იმ ადგილას, სადაც ძველი კოშკებიანი კედელი დგას, მიწასა სთხრიან; მალე არქეოლოგები მოვლენ და ამ ადგილს გაჰსინჯავენ.

ვიტეგრა. წყალდიდობის გამო, მარინის არხებზე გემების მიმოსვლა 27 ივლისიდან შეჩერებულია. გემები სამ ადგილას დგანან.

სტამბოლი. ხონთქარმა მოკლულ კონსული როსტკოვსკის ქვრივს 400 ათასი ფრანკი შეაძლია, მაგრამ როსტოვსკის ქვრივმა გადაჭრით უარი განაცხადა ამ ფულის მიღებაზე.

ვენა. „ფრემდენბლატ“-ი ჰმოწმობს, რომ პაპის არჩევის დროს ავსტრო-ჰუნგრეთმა „ვეტო“-ს უფლებით ისარგებლაო. ავსტრო-ჰუნგრეთს უნდოდა, რომ პაპად მშვიდობის მოყვარე და შერიგების მომხრე კარდინალი აერჩიათ. პიუს-X ამნაირი ზომიერი და მაგარი ხასიათის კაცია, და იმედია, იმის პაპობის დროს ეკკლესიის უმაღლეს დანიშნულების ასრულებას არაფერი უთანხმოება აღარ დააბრკოლებს. ავსტრო-ჰუნგრეთის კაბინეტზე სხვა რომელსამე სახელმწიფოს გავლენა არა ჰქონია.

ბელგრადი. ახალი კაბინეტი შეადგინეს. ახლად დაინიშნენ: ფინანსთა-მინისტრად—ბარისლავლევიჩი, სამხედრო მინისტრად—სოლაროვიჩი, სარწმუნოების მინისტრად—რუშიჩი და იუსტიციის მინისტრად—იოვანოვიჩი.

სტამბოლი. მონასტირის ახლო, დიკავატთან, რამდენისამე დღის წინად დიდი ბრძოლა ჰქონდათ ოსმალეთის ჯარსა და რაზმსა; რაზმი გაჰფანტეს, მაგრამ რა წამს ოსმალეთის ჯარმა ბრძოლის ველი დასტოვა, სხვა რაზმებმა ხელ-ახლად დაიჭირეს დიკავატის გასავალი.—დერჯის მიდამოებში, კრუშევოს ახლო ბრძოლა ჯერ არ გათავებულა.

ოდესა. პურის ბირჟა გახსნეს.

3 აგვისტო

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია შემდეგი 1 აგვისტოს დეპეშა რუსეთის საკონსულოს გამგისა ბიტოლიაში: სამხედრო სასამართლომ, ედხემ-ბეის თავმჯდომარეობით, ოთხი დღის გასამართლების შემდეგ, დღეს დაადგინ განაჩენი იმპერატორის კონსულის მკვლელობის გამო ბიტოლიაში. გამოძიების და გასამართლების დროს მე ბრალმდებელის უფლება მქონდა მონიჭებული. რადგანაც საზიზღარი ჭორი გავრცელდა, ვითომც კონსულს ჰემოს, ელანძლოს და რევოლვერიც კი ჰკლოდოს დარაჯისათვის, მე მოვითხოვე, [illegible] სასამართლომ განაჩენის დადგენის შემ[illegible] ყველაფერი დაწვრილებით გამოარკვიოს. ნებს. დასმულ კითხვების პასუხებიდან შემდეგი გამოირკვა: დარაჯმა კონსულს სალა[illegible]—სთფსცა; კონსულმა ჯერ ანიშნა, მერე კოლიტკადმოვიდა და დარაჯის სახელი ერთი მოსტკიცა, რომ როსტკოვსკის მიდამოებში ხოვის არ უსროლია და არც გაიქცევს შეიძლის მიუყენებია, მაგრამ დარაჯმა შეკრძალვის[illegible] ესროლა თოფი. როცა კონსული წაიქცა, დარაჯი მივიდა და ერთხელ კიდევ დაახალა თოფი თავში და კონდახი საფეთქელში დაარტყა. ხალიმი სამართალში მისცეს, კონსულ როსტკოვსკის მკვლელობის გამო. მეორე დარაჯს—აბასს, რომელიც იქ დაესწრო, ის ჰბრალდება, რომ კონსულს დახმარება არ აღმოუჩინა. დანარჩენი ორი დარაჯი ზეინალი და ასიმი მკვლელობას არ დასწრებიან, მაგრამ პირველი, რომელიც თავის ამხანაგების გამართლებას ცდილობდა, მაინც სამართალში მიცემული ცრუ-მოწმობის გამო. ჟანდარმთა მთავრობას ის ბრალი ედება, რომ ამისთანა მნიშვნელოვანი დარაჯობა მხეც ალბანელებს მიანდო, რომლებმაც ოსმალური ენაც კი არ იციან; პოლპორუჩიკებს იზმილ-ბაკის და სელიმ-კადროს ის ჰბრალდებათ, რომ როდესაც მკვლელობის შემდეგ კონსულის ეტლში მჯდომ მასწავლებელს რუსეთის საკონსულოში აცილებდნენ, მიცვალებულს უდიერად ისხენიებდნენ; მელამზე ტევფიკს, რომელიც სასამართლოში სხვა მოწმების ჩვენებას უარ-ჰყოფდა და ამტკიცებდა, კონსულმა დარაჯს სცემაო, ცრუ-მოწმობა ჰბრალდება. სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ხალიმს და აბასს სიკვდილით დასჯა, ზეინალს და ტევფიკს, კატორგაში მუშაობა, პირველს ამათგანს 15 წლით; აფიცრებს იზმაილს და სალიხას—სამხედრო სამსახურიდან გამორიცხვა, ხოლო ასიმი გაამართლა. ეს დადგენილება, ჩემ. მიერ ხელმოწერის შემდეგ, ჩემსავე თანადასწრებით გამოეცხადა დამნაშავეთ. ხილმი-ფაშამ მაშინვე გამოაცხადა, რომ სტამბოლიდან ნაბრძანები აქვს დაუყოვნებლივ აღასრულოს სასამართლოს დადგენილება. დამნაშავენი დღესვე ჩამოახრჩეს საღამოს $4^1/_2$ საათზე. აფიცრებს ღირსება ჩამოართვეს დღესვე საღამოს. ვილაეტის ჟანდარმთა უფროსი, ბიტოლიის ჟანდარმთა ბატალიონის უფროსი და კაპიტანი იმ როტისა, სადაც ხალიმი მსახურებდა დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან და სამართალში მისცეს. ცალკე გამოძიებაა დანიშნული აღმოსაჩენად იმ პირისა, რომელმაც სამხედრო ფურნიდან ესროლა კონსულის ეტლს.“

„პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია, რომ გაზ. „ს.-პეტერბურგის ვედომოსტების“ ნომრების გაყიდვა კვლავ ნება დართულია.

ოთხის თვით შეჩერებულ იქმნა გაზ. „ურალის“ გამოცემა.

ქერჩი. „იუჟნი კურიერი“ იუწყება, რომ ქერჩში ღრმა ნავთსადგურის გასაკეთებლად გადადებულია საქმის დასაწყობად 150,000 მან. გეგმა ინჟ. ბერნერისაა. სულ სამი მილიონი ეღირება.

სოფია. რადგან მთავარს ვენგრიაში დამშვიდებული ცნობები გაუგზავნეს, არ დაბრუნდა. მინისტრები დაბრუნდნენ საზღვარზე.

ჯუმაის ახლო ორი ახალი კარგად შეიარაღებული რაზმი გამოჩნდა. ამბოხება მოსაზღვრე ოლქს უახლოვდება, რაც ძალიან შემაძრწუნებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს. მაკედონიაში, უსკიუბის სენჯაკში, ოსმალებმა ქრისტიანების 14 სოფელი დასწვეს.—რადგანაც გევგელის ახლო ხიდი ჩაანგრიეს, სალონიკში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია.—მონასტირს ახლო მეამბოხეთ ჩაიგდეს ხელში ოსმალეთის ფოსტა, რომელშიაც 1000 ოსმალური ლირი იყო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 1 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$99^5/_8$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$100^3/_4$ მყიდ.
$4^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა.	$95^1/_8$ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	449 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	343 „
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სადვ.-მამ. ბანკისა	$291^1/_2$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სადვილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
$4^1/_2\%$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	188 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლების

18 [illegible]დან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი[illegible] ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დი[illegible] 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 8 ღამის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო №[illegible] დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაგა[illegible]ით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 8 ს. [illegible] წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 [illegible] 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 1[illegible] ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/[illegible] ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავ[illegible] № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღ[illegible] 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 [illegible] 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამ[illegible] 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 [illegible] ღამის 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავ[illegible] № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მა[illegible]რტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მო[illegible]მავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფო[illegible]სტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 5[illegible] წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2 დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 8 ს. 5[illegible] წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.)

განცხადებანი

საჭიროა

მამულში

წერა-კითხვის მცოდნე კაცი. უნდა მოუ[illegible]როს მამულს **კახეთში.** მიეცემა როგორ[illegible] ჯამაგირი, ისე შემოსავლის ნაწილი.

მსურველმა უნდა მიჰმართოს ველიკო-კნი[illegible]ჟესკის ქუჩაზე, ვოლსკის სახლში, გენერალ[illegible] ნაზაროვის ბინაზე. (2—2)

ქუთაისში

საძ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღ[illegible] პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მოედ[illegible] [illegible] ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლ[illegible] შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედა[illegible] და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარე[illegible] განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ[illegible] გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების ს[illegible]ნით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო[illegible] არ ღებულობს. (0—201)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაჩანასი.	მ. — 1[illegible]
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 5[illegible]
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	— 2[illegible]
დ. კაზბეგის I, II და III ტომი თითო	1
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1 5[illegible]
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 7[illegible]
იგივე II და III ტომი თითო	— 6[illegible]
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	— 8[illegible]
სოფლის კუნწული—დ. მაჩხანელისა	— 1[illegible]
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	— 4[illegible]
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	— 6[illegible]
რაფ. ერისთავის I ტომი	— 6[illegible]
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 2[illegible]
სამზარეულო—ქართული და ევროპული საჭმელებისა.	1 2[illegible]
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	— 5[illegible]
სიბრძნე ბალავარისა	— 3[illegible]

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას[illegible] და[illegible]ბით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფას[illegible] ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ[illegible] მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მა[illegible]კებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлис[illegible] Грузинское Издательское Товарищество.

ეხლა წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისი[illegible] წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბ[illegible] დის ქუჩაში.

Дозв. Ценз. Тифлисъ 3 Августа 1903 г.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)